ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აგრძელებს თანამშრომლობას ევროკომისიის პროგრამა ERASMUS MUNDUS-თან და HERMES პროექტის ფარგლებში აცხადებს კონკურსს თსუ დოქტორანტურის სტუდენტებისთვის (პირველი სამიზნე ჯგუფი) ევროპის 7 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო/კვლევითი სტიპენდიის მოსაპოვებლად

სააპლიკაციო დოკუმენტაციის მიღება ხდება ელექტრონულად შემდეგი ვებ-გვერდის საშუალებით:
http://www.erasmusmundus-hermes.uoa.gr/

სავალდებულო დოკუმენტების ჩამონათვალი	**დოქტორანტურის სტუდენტები**
ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ	გაცემული შესაბამისი ფაკულტეტის მიერ (დოკუმენტის ნოტარიალურად დამოწმებული ინგლისური ვერსია)
მაგისტრის დიპლომი	არქონის შემთხვევაში, ცნობა, რომ დამთავრებული გაქვთ, აღების სავარაუდო თარიღის მითითებით
მაგისტრატურის ნიშნების ამონაწერი	გაცემული შესაბამისი ფაკულტეტის მიერ (დოკუმენტის ნოტარიალურად დამოწმებული ინგლისური ვერსია, თუ ფაკულტეტის მიერ არ არის ინგლისურ ენაზე მომზადებული)
ენის საერთაშორისო სერთიფიკატი (TOEFL, IELTS)	თსუ-ს მიერ გაცემული ენის ცოდნის დამადასტურებელი ცნობის მფლობელებს შეუძლიათ აღნიშნული ცნობის წარდგენა. შესაძლებელია, ასევე, რომ ზოგიერთმა უნივერსიტეტმა სავალდებულოდ მიიჩნიოს საერთაშორისო ენის სერთიფიკატის ქონა, გადაამოწმეთ ინფორმაცია სასურველი უნივერსიტეტის მოთხოვნებში!!
სასწავლო/საკვლევი გეგმის მონახაზი	სტიპენდიაზე განაცხადის შეტანის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ მიმდინარე კვლევის აღწერილობა და ინფორმაცია, რა კვლევის ჩატარება სურთ მასპინძელ უნივერსიტეტში (დანართი 1)
მოტივაციის წერილი	რატომ გსურთ ზემოაღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობის მიღება, როგორ იმოქმედებს აღნიშნული სტიპენდია და მასპინძელ უნივერსიტეტში გატარებული პერიოდი თქვენს კვლევასა და პროფესიულ და სამომავლო განვითარებაზე (ინგლისურ ენაზე)
დაინტერესების წერილი მასპინძელი უნივერსიტეტისგან	მასპინძელი უნივერსიტეტის დოქტორანტურის პროგრამის ხელმძღვანელის წერილი, კვლევის ხანგრძლივობის მითითებით, რომ თქვენი კვლევით შესაბამისი ხართ მათ მიერ შემოთავაზებული სადოქტორო პროგრამასთან (შერჩევის შემთხვევაში)
CV	ევროპული ფორმატი
რეკომენდაციის წერილი	ორი (ინგლისურ ენაზე, შესაბამისი ფაკულტეტის ბეჭდით დამოწმებული)
პასპორტი	სურათიანი გვერდის დასკანერებული ვერსია
განცხადება განმეორებით	იხილეთ ნიმუში (დანართი 2)

ერასმუსის სტიპენდიის მიღებაზე	
ინფორმაცია საზღვარგარეთ 12 თვეზე მეტი ვადით სწავლის/კვლევის შესახებ	იხილეთ ნიმუში (დანართი 3)
სოციალურ-ეკონომიკური ან/ და ჯანმრთელობის პრობლემის დამადასტურებელი ცნობა	ოფიციალური დოკუმენტი, რომ მიეკუთვნებით სოციალურად დაუცველ ფენას ან იღებთ სოციალურ შემწეობას, ჯანმრთელობის პრობლემის დამადასტურებელი დოკუმენტი (ნოტარიალურად დამოწმებული ინგლისური ვერსია)

პროექტში მონაწილე ევროპული უნივერსიტეტები:

1. ათენის უნივერსიტეტი, საბერძნეთი
2. ტალინის უნივერსიტეტი, ესტონეთი
3. ვიადრინას ევროპული უნივერსიტეტი, გერმანია
4. ვენეციის კა'ფოსკარის უნივერსიტეტი, იტალია
5. სალერნოს უნივერსიტეტი, იტალია
6. სოფიას უნივერსიტეტი, ბულგარეთი
7. ლინკოპინგის უნივერსიტეტი, შვედეთი

პარტნიორი უნივერსიტეტების მიერ შემოთავაზებული სასწავლო პროგრამები:
http://www.erasmusmundus-hermes.uoa.gr/academic-offerings-eu.html
პრიორიტეტული სასწავლო მიმართულებებია: ჰუმანიტარული მეცნიერებები
მობილობის პერიოდი: 2014/2015 აკადემიური წელი
სტიპენდია მოიცავს 1500 ევროს ყოველთვიურად, საერთაშორისო მგზავრობისა და დაზღვევის დაფინანსებას.

სრული სააპლიკაციო დოკუმენტაციის პროექტის ვებ-გვერდზე ატვირთვის ბოლო ვადა:
2014 წლის 14 თებერვალი

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ
ანი ჭელიშვილს თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტში
თსუ პირველი კორპუსი, პირველი სართული, ოთახი 121. ელ-ფოსტა: erasmus@tsu.ge